№ 82
შაბათი, 18 აპრილი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 82
შაბათი, 18 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დას აგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ნატალია გრიგოლის ასული ტარსაიძე შვილებითურთ აუწყებს რა გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი—ქმრისას, ხოლო დანარჩენნი—მამისა

**ალექსანდრე ლუარსაბის ძის ტარსაიძისას,**

უმორჩილესად სთხოვს პატივი სცენ და დაესწრნენ განსვენებულის გვამის დაკრძალვას.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 18 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, ხოლო გვამის განსვენება საცგომიდგან ოლგას ქუჩა, სახლი პოლკოვნიკის ყორღანოვისა, კალოუბნის ეკკლესიაში კვირას, 19 აპრილს, დილის 10 საათზედ. (2—73—1)



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

**შულცე-ზენკოვსკისას,**

რომელიც მოთავსებულია მირიმანოვის სახლში და ღია იქმნება მუდამ დღე 10 განყოფილება მხოლოდ ამ დღესასწაულ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ.

საანატომიო განყოფილება

ღიაა მხოლოდ დიდებისათვის. ქალებისათვის პარასკეობით, ხოლო მამაკაცებისათვის ყველა დანარჩენ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ. (5—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე' კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2—11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2—2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

**მთავრობის განკარგულებანი**

ებოძათ პოდპორუჩიკობა: ტენგინის მე-77 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს ცაგარელს, ამასთან გადაყვანილ იქმნა გროზნის ზურგის ბატალიონში, დარუბანდის მე-154 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს მესხის, და ამასთან გადაყვანილ იქმნა პენზის მე-121 ქვეითა რაზმში და კუბის მე-155 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს—ენუქიძეს.

## ახალი ამბავი

*** როგორც ტფილისის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, პირველ იანვრიდგან 12 აპრილამდე ქალაქის კასსაში შესულა: სახლების დასაფასებელი გარდასახადი. 107,677 მან. (შარშანდელზედ 665 მან. მეტი), საყასბოდგან საქონლის დაკვლისა—10,674 მან. (შარშანდელზედ 1900 მანეთით მეტი), ცხენების გარდასახადისა 21,658 მან. (შარშანდელზედ 1700 მან. მეტი), ქალაქის ადგილებისა 4225 მან. (შარშანდელზედ 1200 მან. მეტი) და წყალის მილისა—31,073 მან. (შარშანდელზედ 1400 მან. მეტი), ხოლო სულ 175,307 მან.

*** დღეს, 18 აპრილს, ტფილისში ჩამოსული ბეითლები გუბერნიის ბეითალის კრიდნერის მეთაურობით დაათვალიერებენ ნიკიფოროვის ფერმას, ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოების საჯინიბოს, პასტერის ცოფის ასაცრელ სადგურს და პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ დაარსებულ პირუტყვთა სამკურნალოს.

*** გუშინ, 17 აპრილს, ტფილისის ხორცით მოვაჭრეთ მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს, ხორცის ნიხრს მოუმატეთ, რადგანაც ტფილისში საკლავს საქონელს აღარ მოერეკებიანო.

*** როგორც სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 1897 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, ბანკს ამ წელს 459 სესხი გაუცია 2,387,010 მანათისა; ბანკს წმინდა მოგება 185,407 მან. 83 კაპ., ჰქონია, საიდგანაც 66,556 მან. 67 კაპ. გადადებულ იქმნება საზოგადო საჭიროებისათვის დაარსებულ თანხის სასარგებლოდ. განზრახვა აქვთ, მთლად ეს თანხა სათავად-აზნაურო სასწავლებელს გადასცენ, რომელსაც ამ ჟამად მხოლოდ 35,459 მან. 17 კ. ერგება, რადგან გატანილი აქვს 31,097 მან. 50 კაპ. 1898 წ. 1 იანვრისთვის სასოფლო-სამეურნეო თანხა შეადგენს 130,857 მან. 43 კაპ. და საყოველ-შემთხვევო თანხა-კი 12,702 მან. 98 კ. საზოგადო კრება 19 აპრილიდგან დაიწყება.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა შემდეგი წინადადებანი უნდა წარუდგინოს სათავად-აზნაურო საერთო კრებას, სახელდობრ: 1) სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან, რომელიც 1897 წლის მოგებიდგან იქმნა დაარსებული, ათი პროცენტი გადაიდოს მომავალ პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ; 2) მუდამ წელს ამ სასწავლებლის დაარსებამდის, არა უმეტეს ორის წლისა, 1898 წლიდგან დაწყებული, იმავე თანხიდგან პოლიტეხნიკუმისავე სასარგებლოდ გადაიდოს 10 პროცენტი; 3) ამ გვარად მოგროვებული თანხა პოლიტეხნიკუმის დაარსების დღეს გარდაეცეს ტფილისის ქალაქის გამგეობას, და 4) იმავე სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან 500 მან. გადაიდოს კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენებისა და თავშესაფარების საზოგადოების სასარგებლოდ.

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

მანებე, შუქურ-ვარსკვლავო,
ეგ ძუძუ-მკერდი ბროლისა,
თორემ დამადნო სურვილმა,
თავი აღარ მაქვს ბრძოლისა,
არც საქმის, არცა ძილისა,
არც დგომის, არცა წოლისა,
მაგიჟებს გრძნობა ძლიერი,
უსაზღვრო ზღვათა სწორისა!..

დ. მაჩხანელი

**წერილები ინგლისიდგან**

(საკუთარის კორესპონდენტისა)

(კუბას კუნძულის საქმე. კუბას თავისუფლების მომხრესთან საუბარი).

ვინ იცის, იქმნება ვიდრე ამ წერილს მიიღებდეთ, დეპეშა მიიღოთ, რომ შეერთებულ შტატებსა და ესპანიის შორის კუბას კუნძულის გამო ომი გამოცხადდაო? აქ, ლონდონში, ეს რამდენიმე დღეა ომის გამოცხადებას მოელიან. გაზეთები ამ საქმის შესახებ სულ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან. ბირჟის საქმეები ერთს დონეზედ ვერ დამდგარა... საზოგადოდ რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელის ორის თვის განმავლობაში ბირჟა უქმად გახლავთ.

მინდოდა გამომერკვია ეხლანდელი ვითარება კუბას კუნძულის ხაქმისა და ამიტომ მივმართე ერთს ესპანიელს პროფესორს ტარრიდა დელ მარმოლს, რომელიც ამ ჟამად ლონდონში სცხოვრობს და რომელიც მომხრეა კუბას კუნძულის თავისუფლებისა.

მე ვკითხე ამ პროფესორს: „როგორა გგონიათ, ომი აუცილებლად მოხდება, თუ არა? რა უნდათ კუბას კუნძულის მცხოვრებლებს: „ავტონომია თუ თავისუფლება?“

— მე ისე მგონია, მიპასუხა,—რომ შეერთებულ შტატებსა და ესპანიას შორის ომი არ მოხდება. ჩემი სამშობლო მეტად დასუსტებულია თავისის შინაურის საქმეების არევ-დარევით და სხვა-და-სხვა უწესოებით. ჩვენი მშვენიერი ქვეყანა—ესპანია—მეტად ღარიბი და გულ-დაწყვეტილი ქვეყანაა. ჩვენც, ეს მთელი საუკუნეა, ვერ გვიპოვნია მალამო ჩვენის საზოგადო სენისათვის. ხაზინას ფული გამოელია, ხალხი გაღარიბდა, გაღარიბდა ჩვენი გასაოცრად მდიდარი ახალშენებიც... რით უნდა ვიომოთ? ვინ უნდა გავგზავნოთ საბრძოლველად? ჩვენი ახალგაზრდობა უკვე დაიხოცა ციებ-ცხელებით კუბასა და ფილიპინის კუნძულებზედ. მართალია, ჩვენი ერი დღესაც მხნე და მედგარია, ეს ერი ერია სიდისა და პადილის შთამომავალი. ეხლანდელი ერი ეხლაც არ ჩამოუვარდება თავისს წინაპრებს სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. გაზეთებშიაც სწერია, რომ მთელს ესპანიაში იფეთქა მამულის სიყვარულის გრძნობამ. ეს ასეც უნდა იყოს. საბრალოა ის ერი, რომელსაც დაუკარგავს სიყვარული თავისის ქვეყნისა და რომელიც იმის ბედ-იღბალზედ აღარა ზრუნავს.

მაგრამ ეხლანდელი საქმეთა ვითარება მხოლოდ იმით განირჩევა, რომ თვით ერს არავითარი განსაცდელი არ მოელის. საუკეთესო კაცებს შეგნებული აქვთ, რომ ეს განსაცდელი მოგვივლინეს ჩვენ ჩვენმა გენერლებმა და მინისტრებმა. მართლაც და რად აჯანყდა კუბა მესამედ ამ 40 წლის განმავლობაში? რა და და იმათ, რომ სურდათ ესარგებლათ თავისის უფლებით ამ მდიდარის კუნძულის საქმეთა მართვაში. პირველად რომ აჯანყდნენ კუბას კუნძულის მცხოვრებნი, მხოლოდ ავტონომიას თხოულობდნენ. ამის პასუხად მადრიდმა უწყალობა მათ ზარბაზნები და სისხლის ღვრა... ორთავე მხრიდგან იხოცებოდნენ კრეოლები, ზანგები და ესპანიელები. ამ სისხლის ღვრამ დაასუსტა ეს ქვეყანა, დააუძლურა და გაალატაკა მდიდარი კუნძული. ჩვენი მინისტრებიკი არაოდეს არ ასრულებდნენ დაპირებულს რეფორმებს, რომლებიც გამოწვეული იყო აჯანყების დროს. 1876 წელს მომხდარი რევოლიუცია მიწყნარდა მხოლოდ იმის გამო, რომ აჯანყებულებს დაჰპირდნენ ავტონომიას მოგანიჭებთო. გაიარა ოცმა წელმა და ავტონომია-კი არა, ესპანიის მთავრობამ არ მოიწადინა იმ საქმეთა ასრულება, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. 1896 წელს ასტყდა რევოლიუცია, რომლის დროშაზედ ეწერა: „ან თავისუფლება და ან სიკვდილი“. არც ერის წინამძღვრებსა და არც თვით ხალხს არა სჯეროდა, რომ ესპანია თავის დაპირებას შეასრულებს ავტონომიის შესახებ...

— მე-კი მგონია, რომ საგასტა გულწრფელად დაჰპირდა მათ, ავტონომიას,—ვუპასუხე მე.

— დიაღ, რა თქმა უნდა, ეგ სურვილი გულ-წრფელია, მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ, საქმით რას წარმოადგენს სურვილი? მარტო სურვილად რჩება. ხალხს ბევრსა ჰპირდება და ამ დაპირებით მხოლოდ ნანინას უმღერის...

განვითარება კანადისა და ავსტრალიის ახალშენებისა საუკეთესო მაგალითია ამისი. დიაღ, რა პირობებშიაც კანადი არის, იმ პირობებში რომ კუბას კუნძული იყოს, ისიც განვითარდებოდა და ფრთებს მოისხავდა. უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენს მინისტრებს ავტონომიად მიაჩნიათ უფლება მადრიდიდგან სახელმწიფოს დიდ მოხელეთა გამოგზავნისა, კანონმდებლობის გაუქმებისა, კუნძულზედ საშიშ ვითარების გამოცხადებისა, როდესაც მოისურვებენ და არც-კი დაეკითხებიან ხოლმე ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებს.

თქვენთვის ეს საოცარია? მაგრამ რას იტყვით, როდესაც მოგახსენებთ, რომ სწორედ ასეთი პროექტი შეიმუშავა სავასტას კაბინეტის წევრმა მორეტმა. რასაკვირველია, რომ კუბის მცხოვრებლებმა განაცხადეს მათის წინამძღოლის დომეცის პირით: გვიჯობს იარაღით ხელში დავიხოცნეთ, ვიდრე ასეთი ავტონომია შევიწყნაროთო.

მიუმატეთ ისიც, რომ პროექტით კუბას მომავალ პარლამენტს შეუძლიან განსაჯოს თავისი ფინანსები მხოლოდ იმდენად, რამდენიც ადგილობრივ გასავალი იქნება საჭირო და ისიც მაშინ, როცა მიიღებს მადრიდიდამ მოწერილობას სავალდებულო გადასახადების რაოდენობას. და ეს

*** გუშინ წინ, 16 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე ტფილისის სასულიერო სასწავლებელსა და დედათა საეპარქიო სასწავლებელში ბრძანდებოდა. მათმა მეუფებამ დაათვალიერა სასწავლებლების სადგომები და გაკვეთილებს დაესწრო. სასულიერო სასწავლებლის წიგნთ-საცავის დათვალიერების დროს ეგზარხოსმა ჰბრძანა, რომ წიგნთ-საცავი ძალიან ღარიბია წიგნებითაო.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზოგიერთ წევრთ ამავე ბანკის წევრთა საზოგადო კრების დროს განზრახვა აქვთ ლაპარაკი აღძრან იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება მიეცეს იმ ფულს, რომელიც ბანკის დამფუძნებელ წევრთა წოდების გაუქმებისა გამო უნდა დაუბრუნდეთ უკან ბანკის დამფუძნებელთ. ერთნი ამბობენ, კარგი იქმნება ეს თანხა, სახელდობრ 84,000 მან. სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ იქმნას გადადებული, ხოლო მეორენი—დედათა დასაარსებლად განზრახულ სასწავლებლის თანხის სასარგებლოდ იქმნას გადადებულიო.

*** ხუთშაბათს, 16 აპრილს, პეტერბურგს გაემგზავრა ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე სენ. ს. ბ. ვრასკი.

*** დღემდის სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტში მხოლოდ იმათ შეეძლოთ შესვლა, რომელთაც სწავლა დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზიაში და ან რეალურ სასწავლებელში. ამ წლის 23 თებერვალს ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა ნება ჰქონდეთ სამიწათ-მზომელო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთაც მომავალ შემოდგომას ეგზამენი გარდიხადონ პირველ და მეორე კურსზედ შესასვლელად. საბჭოს ჟურნალი ამ დადგენილებით უკვე დამტკიცებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მიერ. ტფილისის სამიწათ-მზომელო სასწავლებლის უკანასკნელ კლასის ერთს მოსწავლეს უკვე ჯეროვანი თხოვნა გაუგზავნია ინსტიტუტში.

*** ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებელში 18 აპრილიდგან დაიწყება მოსწავლეთა გამოცდა მე-2 და 3 კლასებში, ხოლო პირველ კლასელებისათვის ცოტა გვიან. გამოცდა დასრულდება 26 მაისს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის მოხელემ ბ-ნმა ა. ჯაბადარმა და ვეთილმა ბ-მა ტ. ბოლოტოვმა აარჩიეს ორი ადგილი, სადაც უნდა გაისინჯოს ხოლმე საქონელი, რომელიც ტფილისში მოჰყავთ სოფლებიდგან. ორთავე ადგილას გაკეთებული იქმნება ბაკი, სადაც შეინახავენ საეჭვო საქონელს. ერთი ასეთი ადგილი არჩეულია მნაცაკანის ხიდთან, მტკვრის მარცხენა ნაპირას, იმ საქონლისათვის, რომელიც მოჰყავთ ერევნისა და კახეთის გზით, ხოლო მეორე—რკინის გზის ხიდთან, „ნაძალადევის“ უბანთან, იმ საქონლისათვის, რომელიც მოჰყავთ სოფლებიდგან კავკავის გზით.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამ დღეებში დაათვალიეროს საბირჟო ეტლები, მეეტლენი და ეტლის ცხენები.

*** რადგანაც ქალაქის პირველ ოთხ ნაწილში არ მოხდა მოქალაქეთა დეპუტატების არჩევანები, იმის გამო, რომ ამომრჩევლები არ შეიკრიბნენ, გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ მოქალაქეთა გამგეობის თანამდებობის კაცნი, როგორც მაგალითად, მოურავი და იმის კანდიდატები, არჩეულ იქმნენ არა დეპუტატების მიერ, არამედ მთელის მოქალაქეთა საზოგადოების მიერ, რა აზრითაც მოქალაქეთა კრება იქმნება მოწვეული.

*** ბაქოს მდიდარმა ვაჭარმა ჰაჯი-ზეინალ-აბდინ-ტაგიევმა შესწირა 300 მანეთი ტფილისის საბალოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ და ხსენებულის სკოლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინეს მადლობა გადაუხადონ შემოწირულებისათვის ბ ნ ტაგიევს.

*** რადგან აქაური ვაჭრები ხშირად კამბეჩის ხორცს ძროხის ხორცის მაგიერად ჰყიდიან ხოლმე, ამიტომ სასანიტარო სამკურნალო საბჭომ განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ ყასბის დუქანში გამოკიდებულ იყოს ნიმუშები იმ დაღისა, რომლითაც ინიშნება სხვა-და-სხვა ხორცი.

*** სამის ბრილელის გლეხის საქმე, რომელთაც თავ. დიასამიძის მოკვლა ჰბრალდებათ, ხელ-ახლად დანიშნულია განსახილველად ტფილისის სამოსამართლო პალატაში 5 მაისისათვის.

*** როგორც იუწყებიან, ტფილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთ ამ 1898 წლის პირველ იანვრისათვის შეუძენიათ მთავრობის დახმარებით „სანადელო“ მიწა 14,446 დესეტინა 2,097¼ ოთხ-კუთხი საჟენი 792,291 მან. 65 კაპეიკად. მთავრობისაგან აღებულის სესხის გასასტუმრებლად გლეხებმა უნდა იხადონ ყოველ წლივ, 49 წლის განმავლობაში, 47,537 მან. 46 კაპეიკი, ესრედ წოდებული გამოსახსნელი გარდასახადი. დარჩენილი გარდასახადი ამა წლის პირველ იანვრისათვის იყო 21,226 მან. 32 კაპ. მამულების გამოსყიდვაში მონაწილეობას სულ 3,312 კომლი იღებს. ამ რიგად, ორთა შუა რიცხვით, თითო კომლზედ მთავრობის სესხი მოდის 240 მანეთი, ხოლო დარჩენილი გარდასახადი—64 მანეთი. ტფილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთ ამას გარდა შეიძინეს მამულები თავიანთის ნაბატონებისაგან მთავრობის დაუხმარებლადაც. ამა წლის პირველ იანვრისათვის შეიძინეს სამოსახლე მიწა—70 დღიური 1127½ ოთხ-კუთხი საჟ., სამინდვრე—1559 დღიური 570 ოთხკ. საჟ., სავენახე და საბაღე—38 დღიური 762 ოთხკ. საჟ. და სათიბი—10 დღიური 780 ოთხკ. საჟ. გლეხთა განთავისუფლების დროს სულ აღნიშნულ იქმნა 14,230 კომლი დროებით ვალდებული გლეხი და მათ მიეცა სამოსახლო ადგილები და საბაღე ვენახები—7,049 დეს., სარწყავი მიწა—23,376 დეს. და ურწყავი—25,254 დეს., სულ 55,679 დესეტინა. ორთა შუა რიცხვით თითო კომლზედ 4 დესეტინა მოდიოდა, ხოლო თითო მამაკაცზედ—1 დეს. გლეხთა განთავისუფლების შემდეგ 34 წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი, ეჭვი არ არის, ერთი ორად გამრავლდებოდა, ასე რომ დღეს თითო სულზედ 42 დესეტინაზედ მეტი არ მოვა. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ტფილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთ არ მიეცათ „ნადელად“ არც ტყე და არც საძოვარი ადგილები („კავკასი“).

*** ქალაქის საყასბოს ბეითალის კანცენმახერის მიერ შემუშავებული პროექტი, რომ ქალაქმა თითონ დააარსოს ყასბის დუქანი და ივაჭროსო, მოწონებულ იქმნა სასანიტარო სამკურნალო საბჭოს მიერ, რომელმაც ავტორსავე მიანდო ზოგიერთ ცვლილების შეტანა პროექტში.

*** 15 აპრილს, ბეითალთა და სოფლის მეურნეთა კრებამ დაამთავრა პროგრამის პირველის საკითხის განხილვა, რომ შეიძლება და საჭიროა თუ არა ყოველ ჭირის გაჩენის დროს ჭირიან პირუტყვის ხოცვაო, და დაადგინა: ამიერ-კავკასიაში გაჩენილ ჭირით ავადმყოფი პირუტყვი ყოველთვის დახოცილ იქმნასო; საეჭვო პირუტყვის დახოცვა-კი ჭირთან საბრძოლველ კომისიის ნება-ყოფლობაზე უნდა იყოს დამოკიდებული; განსაკუთრებულ შემთხვევებში ჭირთან საბრძოლველ კომისიამ უნდა იმოქმედოს გუბერნატორის ნება-რთვისამებრ. შემდეგ კრებამ დაადგინა ჯილდო მიეცეთ იმათ, რომელთა პირუტყვიც დახოცილ იქმნება, და მხოლოდ მაშინ ეთქვას უარი, თუ განზრახ მირეკეს საქონელი ჭირიანს ადგილას. კომისიასვე მიენდობა იმის შემუშავება, რა გვარად უნდა იქმნას ხოლმე დახოცილი ავადმყოფი საქონელი, ამა თუ იმ ადგილას. დახოცილს პირუტყვისათვის მისაცემ ჯილდოს რაოდენობის გამორკვევა შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

*** გაზ. „მშაკსა“ სწერენ შუშიდგან, რომ 9 აპრილს შუშის ქალაქის საბჭომ 19 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ქალაქის მოურავად გ. ი. მელიქ-შახნაზაროვი აირჩიაო. მოურავს წელიწადში 2,400 მან. ჯამაგირი ექმნება.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ტფილისის მეტეხის საპატიმროსთან დაარსებულ იქმნა ამას წინად სამკერვალო სახელოსნო, სადაც შეეძლებათ შეუკვეთონ ტანისამოსი ტფილისის ყველა უწყების მოხელეთ და ამასთან ფული დრო-გამოშვებით გადაიხადონ ხოლმე. სახელოსნოში მიწვეულია ტფილისის ერთი მკერვალი რამდენისამე თანაშემწით, რომელთაც საპატიმროში ცალკე სადგომი დაენიშნათ.

*** დ. ლანჩხუთი, (გურია). მეტათ შესწუხდნენ ამ ჟამად აქაური მცხოვრებლები, მეტადრე ქალები, რომ აბრეშუმის თესლი შემოაკლდათ. დღე ნიადაგ დადიან და დაეძებენ აბრეშუმის თესლს, მაგრამ ათში ერთმა ძლივს იშოვა, ისიც მოჰეტებულ

---

გასავალი-კი შეადგენს:

| | ფრანკი |
|---|---|
| ადგილობრივი ბიუჯეტი | 14.284.760 |
| სავალდებულო მართველობისაგან მოწერილი . . . | 119.381,760 |

კუბელები მართლები არიან, როცა ამბობენ, რომ მთავრობას უნდა იგინი კიდევ მოატყუილოს. განსაკუთრებით შესაზიზღია მთავრობის მოთხოვნილება რომ კუბელებმა მიიღონ თავიანთ თავზედ მადრიდის მართველობის ვალები. ეს უკანასკნელი კი აღემატება 2 მილიარდს. მთავრობამ ეს ვალი აიღო კუნძულზედ რევოლიუციის დასახშობათ. რომ ვთქვათ აიღონ ეს ვალი კისრად კუბელებმა, რა მოუვათ მათ, წარმოსადგენადაც ძნელია: თვითვეული კუბელი მცხოვრებელი ვალდებული იქნება იმისთვის, რომ ის უნდა ქვეყანაზედ მოესპოთ, ყოველ-წლივ ასი ფრანკი იხადოს! შეადარეთ ერთი:

| | | | |
|---|---|---|---|
| კუბელი | 100 ფრანკი | ყოველ | წლივ |
| ფრანგი | 25 | ,, | ,, |
| ინგლისელი | 15 | ,, | ,, |
| ამერიკელი | 2,5 | ,, | ,, |

კუბელებს ელეტდნენ, ანადგურებდნენ და ავტონომიის სახელით უნდათ თავზედ მოახვიონ ვალი მათის მელეტელებისა. და ვალი ვალსა ჰქვიან. 2 მილიარდი!... 4 ჯერ მომეტებული საფრანგეთზედ და 40 ჯერ ბევრი შეერთებულ შტატებზედ!..

— მაშ, როგორც ამბობთ, შევნიშნე მე, მადრიდისაგან მიწოდებული ავტონომია ნიშნავს მხოლოდ ადმინისტრატიულ თვით-ნებობას და თავქეიფობას განადგურებისა და გალატაკების ნიადაგზე?

— სწორედ რომ ეგრეა. კუბელებმა ეს იციან. მათ უკვე გადაწვეტილი აქვთ, რომ უმჯობესი იქნება სულ მთლად გასწყდნენ. თქვენ განა წარმოიდგენთ რამდენზედ დაიყვანეს მთელი კუნძულის მცხოვრებლები?

— დიახ, მე ვკითხულობდი გაზეთებში და მოგზაურების ნაწერებში, თუ როგორი სისასტიკე, დევნა და სიმხეცე სუფევს მთელ კუნძულზედ გენერალ ვეილერის ადმინისტრაციისაგან.

— საშინელი წარმოსადგენია ნამდვილი ცნობები მთავრობისგან გაგზავნილ დამამშვიდებლების გმირობა და საქციელებზე. მცხოვრებლების დამშვიდებული ნაწილიც-კი გამოცხადებულ იქმნა მეამბოხეებათ. ფერმერები და გლეხები ქალაქებში გადახვეწეს; მათი სარჩო-საბადებელი ცეცხლის მსხვერპლათ გახადეს. უსახლ-კაროთ, უსამუშავროდ დატოვებულნი ცხოვრების საშუალებებს მოკლებულნი ქალაქებში შერეკილი ამოდენა ხალხი იღუპებოდა შიმშილით და ავადმყოფობით ათასობით და ათი ათასობით. აი ოფიციალური ცნობებიც:

მატანზას (Matanzas) პროვინციის გუბერნატორის თვლით 50,000 კაცი დახოცილა შიმშილით. სანტა კლარას (Santa Clara) პროვინციაში შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დახოცილა 110,000 კაცი; გავანაში ამოდენავე ხნის განმავლობაში დახოცილა 150,000 კაცი! პინარ-დელ-რიოს (Pinar-del-Rio) დაიხოცა 85,000ს ული... საზოგადოთ პროვინციებში გენერალ ვეილერის მართველობის და მფარველობის ქვეშე შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დაიღუპა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 400,000 კაცი; ამათში ჩათვლილნი არიან ისინიც, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიან მცხოვრებლად ითვლებოდნენ, ჩაჰყვნენ განადგურებულ და გადაბუგულ ქალაქ სოფლებში... ეს ცნობები ნამდვილებია. თვითონ გუბერნატორი და ინგლისის და ამერიკის ელჩები იტყობინებიან ამ რიცხვებს.

მაგრამ გენერ. ვეილერის გული არა ძღება ამ ურიცხვი მსხვერპლით. რევოლიუციონერთა ტყვეებს და დაჭრილებს ყველას თავს აყრევინებს მისი ბძანებით; ასობით... არა, ათასობით შემჩნეულ კაცებს უყრიან ბორკილებს და ინკვიზიციის საწამებლით სტანჯავენ, რის შემდეგაც კატორგაში გზავნიან. ფონდორის, განას, ტულუზას და სხვების წამების ისტორიამ შეაძრწუნა ყველა ნამდვილი ადამიანი მიუხედავად პარტიისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ჟრუანტელმა დამიარა ტანში, როცა მოვისმინე ეს საშინელი ამბავი.

— ნუთუ დასასრული და ბოლო არ უნდა ჰქონდეს ბ. პროფესორო? ვკითხე მე.

— კუბელებმა რომ ისპანიელებს დასძლიონ-ძალიან ძნელი წარმოსადგენია; შეერთებული შტატები-კი... გგონიათ, რომ გამოაცხადებენ ომს?

— თუ რომ დიდი რესპუბლიკის ხალხი დასჯაბნის შაქრის და ყავის ვაჭრობის მონოპოლისტებს, ბირჟის ოსტატებს და კაპიტალისტებს, ვაშინგტონის მმართველებს და პრეზიდენტს, თუ დასჯაბნის ყველა ამათ, ომა გამოცხადებული იქნება. საქმე იმაშია, რომ განადგურებულ კუბას აღარ შეუძლიან ხელი შეუშალოს ამერიკელ მონოპოლისტებს, რომელთაც ხელში უჭირავთ თამბაქო, შაქარი, ყავა. აღარც ბირჟაზედ ფასების დაწევა-მომატებით, აღარც საქონლის რამდენიმე მილიარდერების ხელში ჩავარდნით. იმათ ეხლა ხელს აძლევთ კუნძულის დაღუპვაც და ისპანიის დაჩაგვრაც.

— გაიმარჯვებს-კი საერო პარტია?

— მე მგონია, რომ ჰო.

— მაგრამ ომი იქნება, თუ არა?

— როგორცა სჩანს, უნდა იყვეს. მაგრამ შტატებს არ შეუძლიან კუბა შეიერთონ; ისპანია მიწასთან გასწორდება ამ ომის შემწეობით. მეომარ მხარეებს არა აქვთ ხოლმე ძირეული საბუთები ყოველი ომისთვის: გაიფართოვონ მფლობელობა, გამდიდრდნენ, დაიცვან დამოუკიდებლობა. აი რის გამო ხდება, რომ აქამდე, მიუხედავათ ყვირილ-მუქარისა, ომი ჯერ არ არის გამოცხადებული.

მაგრამ კუბელებმა და ჩვენ, მათმა მეგობრებმა ევროპაში, გადავწყვიტეთ განვაგრძოთ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. თუ რომ ამერიკა განიზრახავს კუბაზე მიიღოს მეფის ალფონსის მართებლობის პირობები, მაშინ ჩემი მეგობარი რევოლიუციონერები გადასწყვეტენ ებრძოლონ თვით ამერიკელებსაც. დამოუკიდებლობას და მხოლოდ დამოუკიდებლობას შეუძლიან დაამშვიდოს კუნძული.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასად. მგონი საზიაროდ იმისთვის არ იძლევიან, რომ აბრეშუმის თესლი რაც არის, ისიც არ უნდა იყოს ვარგისი. ამ სახით წელს ძალიან ნაკლები იქნება აბრეშუმის ქია ჩვენში, რომლის შემოსავალიც სიმინდის მაგიერობას უწევდა ხალხს.

⁂ ბათუმი. დიდი ხანია აქაური ქართველი კათოლიკენი მოწადინებულნი იყვნენ საკუთარის ეკკლესიის აშენებას, მაგრამ სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო ეს დიდი საქმე შეფერხებული იყო. აგერ სამი-ოთხი წელიწადია, რაც ბათუმში დაინიშნა პატრი ანსელმო მღებრიშვილი და ამ ყოვლად პატიოსანის კეთილის მწყემსის უანგარო შრომა-მოღვაწეობამ თვალ-საჩინო ნაყოფი გამოიღო. მამა ანსელმო მღებრიშვილის მეცადინეობით აქაურ ქართველ კათოლიკეებმა ამ ერთის წლის წინად ააგეს დროებით პატარა ხის ტაძარი. ამასთანავე თხოვნა მიართვეს უმაღლესს მთავრობას და ნება რთვა ითხოვეს, უფრო დიდის ქვითკირის ეკკლესიის აშენებისა. დღეს აქაურ ქართველ, რომის სარწმუნოების მაღიარებელ, კათოლიკეების სამართლიანი თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. 12 აპრილს ამ ეკკლესიის საძირკველი ჩაიყარა და კურთხევა იყო. წირვა დაიწყო დილის 10 საათზედ.

ვუერთებთ-რა ჩვენს უსაზღვრო სიხარულს და აღტაცებას აქაურ ქართველ კათოლიკეთ და მათს უანგარო მწყემსს მამა ასელმო მღებრიშვილის სიხარულს, ვისურვებთ ამ დიდებულ საქმის ადრე და მალე სასურველად დაგვირგვინებას... სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქაური ქართველი საზოგადოება შესაფერს შემწეობასაც აღმოუჩენს ამ საქმის განხორციელებას. მამა ანსელმო დიდს იმედს გვაძლევს, რომ იგი შუამდგომლობას დაიწყებს, სადაც ჯერ არს, რომ ნება დართულ იქმნას დრო-გამოშვებით მაინც სამშობლო ენაზედ, ე. ი. ქართულად წირვა-ლოცვის შესრულება.

⁂ სოფ. ზემო-შხეფი, (სენაკის მაზრა), 12 აპრილი. წარსულ მარტის თვეში ამ სოფლის მცხოვრებს ი. კი—შვილს ღამის რაინდები ეწვივნენ. გაეტეხათ სახლი და წაეღოთ, რაც რამ ხელში მოხვედროდათ: ფულად ხუთი თუმანი, იმისის შვილების იარაღი, კარგი ხმალი, ხანჯალი, სარტყელი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, და სხვა სამკაულები. მათ შორის, წაეღოთ აგრეთვე: სააღდგომოდ ახალი შეკერილი ტანისამოსი, როგორც კაცისა, აგრეთვე ქალებისაც. ზემოხსენებული ნივთები შენახული ყოფილა ერთს დიდს სკივრში და რადგანაც სკივრი დაკეტილი იყო, სახლში გატეხვა ვერ მოახერხეს და თან წაეღოთ. მეორე დღეს საბრალო ოჯახის პატრონმა ნახა, რომ მისი სახლი არეულ-დარეულია, ყოვლისფერი აქოთებული. ხან აქეთ ეცა ეს კაცი, ხან იქით, მაგრამ რას გააწყობდა. შემდეგ ადგილობრივ ბოქაულს მისცა ცნობა. ჯერ-ჯერობით დამნაშავე ვერ აღმოუჩენიათ. უბედურობა ის არის, რომ ამ ცოტა ხნის წინად, გვარიანად ვიყავით მოსვენებული მათგან, მაგრამ ეხლა-კი სახლების ჩხრეკას მიჰყვეს ხელი. სასურველია, ვისიც ჯერ არს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, დამნაშავე აღმოჩენილ იქმნას და სასტიკად დასჯილი, თორემ ვის შეუძლია ღამითაც თავის სახლს უდარაჯოს.

აპრილი ცუდის ამინდებით დაგვიდგა. პირველ რიცხვებში საკმაო სიცივეები დაიჭირა და კოკა-პირულად ასხამდა წვიმას. 4-ს ქუხილი და ელვა იყო. მაღლობ ადგილებში მთები ჩამოთოვა, მაგრამ მალე დადნა. მას აქეთ, ამინდი ცვალებადობს. ხან აღმოსავლეთის ქარი ჰქრის და ხან წვიმები მოდის ხოლმე.

⁂ ამ ჟამად პოლიცმეისტრის ბრძანებით პოლიცია დაეძებს ტფილისის საგრენადერო რაზმის ჯარის კაცს მედაფდაფეს პავლე ციცკურაძეს, რომელიც სააღდგომოდ ქალაქში იქმნა დათხოვნილი და მას აქეთ უკან აღარ დაბრუნებულა.

⁂ ბავშვთა მზრუნველი საზოგადოება მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც ამ საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინა და განსაკუთრებით მირზოევისა და ამხ. სავაჭრო ამხანაგობას, რომელმაც შესწირა საზოგადოებას 500 მან.

მადლობით იხსენიებს გამგეობა საზოგადოდ ამ ამხანაგობის გამგეობას და კერძოთ ამხანაგობის მუდმივ წევრს ბ-ნს ა. ს. ანანოვს. დაწვრილებით ანგარიში დაბეჭდილი იქმნება ახლო მომავალში საზოგადო კრებამდე.

## არქიმანდრიტის ლეონიდეს სახელ-წოდების დღესასწაული.

გუშინ, 17 აპრილს, პირველ საათზედ შესრულდა სახელ-წოდება არქიმანდრიტის ლეონიდესი ეპისკოპოსად. თერთმეტ საათიდამ ხალხმა დაიწყო დენა ექსარხოსის სასახლის ეზოში, განსაკუთრებით სამღვდელოებამ, მაგრამ არა ნაკლებ იყო სხვა საზოგადოებაც, რომელიც სასოებით მოელოდა ამ დღესასწაულის ხილვას. ჯვარის ეკკლესია თორმეტს საათზედვე აივსო ორსავე სქესის კაცთაგან; პირველის ნახევარზედ გაივსო დარბაზი ექსარხოსის სადგომისა, რომელშიაც ეკკლესიიდგან არის გასავალი, და მამაკაცთა საზოგადოება გავიდა დარბაზში, ხოლო ქალთა საზოგადოება დარჩა თვით ეკკლესიაში. დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა, გარს ედგა ოთხი სელი—ორი მარჯვნივ და ორი მარცხნივ. მარჯვნივ ბრძანდებოდნენ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, ექსარხოსი სრულიად საქართველოისა და ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ალექსანდრე, ხოლო მარცხნივ ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმირი, ეპისკოპოსი კავკავისა, და იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი. სადღესასწაულო ცერემონია დაიწყო ამ რიგად: შეიმოსნენ ოთხივ ყოვლად სამღვდელონი მანტიებით და დაიჭირეს თავ-თავისი ადგილი. ჯვარის ეკკლესიიდგან გამოვიდნენ ორი არქიმანდრიტი მანტიებით—მ. სერაფიმი, რექტორი სემინარიისა, და კესარიოსი, ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი; მას შემდეგ ეკკლესიიდგანვე გამოვიდნენ დეკანოზნი: ელიევი და მანსვეტაშვილი, თაყვანი სცეს კრებას, ლოცვა-კურთხევა მიიღეს, შებრუნდნენ და შემოიყვანეს არქიმანდრიტი ლეონიდე, რომელმაც კურთხევა მიიღო ექსარხოსის ფლაბიანესი და ყველა მღვდელმთავართა და ჩადგა მ. სერაფიმეს და კესარიოსის შუა, უკან ჩამოუდგნენ ხსენებული დეკანოზები. მაშინ სინოდის კანტორის იმერეთის განყოფილების მდივანმა ს. მგალობლიშვილმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის ლეონიდეს ეპისკოპოსად დანიშვნისა და გადასცა მეორე საპასუხო ბრძანება, რომელიც მ. ლეონიდემ ზეპირად წარმოსთქვა.

ბრძანებების წაკითხვის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ მცირე მშვიდობიანი წარმოსთქვა, ხოლო საგალობლებს ყოვლად სამღვდელონი ამბობდნენ ნელად, ხმა ტკბილად, და შეწყობილად.

ამ მცირე ლოცვის შემდეგ, რომელიც ფეხზედ წამოდგომით შესრულდა, მთავარ-დიაკონმა სიონის კათედრისამ მ. კონსტანტინე კარგარეთელმა მშვენიერის კილოს მიმოქცევით, რომელშიაც ძლიერება ხმისა შერთული იყო მის სინარნარე-სიტკბილესთან, წარმოსთქვა მრავალ-ჟამიერი ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა, დედისა მათისა, მემკვიდრისა, უწმიდესის სინოდისა და ახლად ეპისკოპოსად სახელ-წოდებულის არქიმანდრიტის ლეონიდესი. დასი ექსარხოსის მგალობელთა მწყობრად იმეორებდა მრავალ-ჟამიერსა და ლეონიდეს ხსენების დროს ქართულად სთქვეს მრავალ ჟამიერ.

გათავდა ლოცვა, შეჩერდა ზრიალი მთავარ-დიაკონის დიდებულის ხმისა, დარბაზი სმენად გადაიქცა. და აი ეს წმიდა სიჩუმე განაპო ტკბილმა, გრძნობით აღსავსე სიტყვამ მ. ლეონიდესამ, წარმოთქმულმა მშვენიერის რუსულის ენით. დაწყებიდამვე სიტყვისა თითქმის ყველა მსმენელს თვალში ცრემლი მოადგა. განსაკუთრებით საგრძნობელი იყო სიტყვა მ. ლეონიდისა ექსარხოსის მიმართ, რომელსაც მიანდო თავი თვისი, როგორც პირუთვნელ, ღრმად განსწავლილ, გამობრძმედებულს და ბრძენს ყოვლად უსამღვდელოს; ხოლო უაღრესი გავლენა იქონია მისმა ღრმა, სიყვარულით და უმაღლესის მადლობით აღსავსემ სიტყვამ მხცოვანის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიმართ, რომელიც არის მკვიდრი ბიძა მ. ლეონიდესი.

ს. გ—ძე

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ 15 მან. ბ-ნ ასლან გიორგის ძის მდივანისაგან იმ ფულის გასადიდებლად, რომელიც გროვდება, რათა კვერთხი მიერთვას პატივცემულს ეპისკოპოსს ალექსანდრეს.

—

ონის ექვსის ქართველის მოსწავლისაგან მივიღეთ ექვსი მანეთი ქართული საერო მუზეუმის ფონდის სასარგებლოდ და ეს ფული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გარდავეცით.

—

სოფ. სარაჯამიშის საზოგადოებამ რომ წავიკითხეთ გაზეთ ივერიის მერვე №-ში დაბეჭდილი წერილი დიმიტრიაშვილების ექვსის ობლისა, რომელნიც სცხოვრობენ მთის ქუჩაზედ, თეთრაძის სარდაფში, მოვიწადინეთ იმათი დახმარება და ვუგზავნით თქვენდამი რწმუნებულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით 50 მანეთს მომავალ აღდგომის დღესასწაულებისათვის. ეს ფული შემოსწირეს: პაშჩენკომ—5 მან., ფელდმანმა—5 მ., იაშა ფელდმანმა—3 მ., კნ. მ. წულუკიძისამ—3 მ., შაშხალოვისამ—3 მ., დ. ართმელაძემ—2 მ., უცნობმა ქალმა—2 მ., დ. გეგელაშვილმა—2 მ., ვ. ბაომ—1 მ., ვ. მაჩაბელმა—1 მ., ნ. ბილანოვმა—1 მ., პ. არჯევანიძემ—1 მ., გ. მ.—1 მ., კ. ბალარჯევმა 1 მ., დელექტორსკიმ—1 მ., მაქსიმოვიჩმა 1 მ., შუშოვმა—1 მ., მიროვნოვმა 1 მ., ნათიევმა 1 მ., ასია ტიტოვამა 1 მ., მ. გურტიევისამ 1 მ., ვალიავსკისამ 1 მ., ტ. ართმელაძემ 1 მ., ა. ვასკრესენსკისამ 1 მ., კრილოვისამ 1 მ., ინჟავინსკისამ 1 მ., პორ. მეშჩერიაკოვმა 1 მ., ლ. გრიგორაშვილმა 1 მ., ლორთქიფანიძემ 1 მ., კირსანოვისამ 50 კ., ლორტკიანცმა 50 კ., ვ. მაქსიმოვიჩისამ 50 კ., ნ. მაქსიმოვიჩისამ—50 კ., მ. პრონშინისამ 50 კ., ა.—გ—50 კ., ნ. ბრაგინისამ 50 კ., ფენენკომ 50 კ.

სულ 50 მ.

მარიამ მათიკაშვილისა

## ჩვენ მეურნეთა საყურადღებოდ

(წერილი სამეგრელოდგან)

ვინ არ იცის, რომ ეხლანდელ დროში სწავლა-განათლებასთან უწინარეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ, ბევრად თუ არა, ცოტად მაინც, სამეურნეო ნაწილი, რაც ყოველის ჩვენგანისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, მით უმეტეს, რომ ამ საგანს ყველგან განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ. ჩვენი ხალხი მხოლოდ ერთად-ერთს სიმინდის თესვა-მოყვანას მისჩერებია წოდებისა და სქესის განურჩევლად, თითქოს სამეგრელოს უხვს ნიადაგზედ სხვა მცენარე არა ჰხარობდეს. ნამდვილად ვიცით, რომ სამეგრელოს ზოგიერთს ადგილებში ამ რამდენისამე წლის წინად ბრინჯი ითესებოდა, რომელიც აქაურს ნიადაგზედ კარგად ჰხარობდა და მშრომელსაც უხვად ბჯილდოვებდა, მაგრამ ეხლა-კი დრონი იცვალნენ და ამისი მაგიერი ანუ უპირველესი ადგილი სიმინდმა დაიჭირა. ესეც ცხადია, რომ ნიადაგს ძალა გამოეცალა და უწინდელივით არ ბჯილდოვებს მშრომელსა. მეორეც არის და ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც ფასიც ერთობ დაწეულია. გარდა ბრინჯისა, კარგად ჰხარობდა და დღესაც კარგად იხარებს ბამბა. მაგრამ ამას, როგორც სხვა მცენარეს, იშვიათად სთესავენ, თუმცა-ღა ამას კარგი გასავალი აქვს. ბამბის თესვა-მოყვანას სულითა და გულით ურჩევ მეგრელ მეურნეთ, რადგანაც ჩვენ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ არამც თუ ჩვენებური ბამბა, არამედ სხვა ქვეყნისაც კარგად ჰხარობს ჩვენში. მაგალითად, ჩვენ გვქონდა შემთხვევა ჩვენებურ ბამბისათვის შეგვედარებინა ერევნის ბამბა და შევგვეტყო, რომელი უფრო იხეირებდა ჩვენში და რომელს უფრო კარგი გამოსავალი ექმნებოდა. ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენებურ ბამბაზე უკეთესი მოსავალი მოისხა ერევნისამ, ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მეურნეს ამ ბამბის თესვა მოყვანას ხელი მიჰყონ. ფასშიაც ჩვენებურ ბამბაზედ ერთი ორად მეტს ფასად გაიყიდება და სახეირო იქნება. არ იფიქროს ვინმემ, ვითომც ერევნის ბამბას სხვა ნაირი თესვა მოვლა ესაჭიროებოდეს. იმასაც ისე უნდა თესვა და გამარგვლა, როგორც ჩვენებურ ბამბას. სიმაღლით ჩვენებურზე მეტი იზრდება, ტოტებიც გრძელი და განიერი აქვს, პარკებით დაიხუნძლება ხოლმე. ერთის სიტყვით, სახეირო იქნება ყველასათვის, ვინც კი დაიწყებს იმის თესვას, თორემ მარტო სიმინდის თესვა ჩვენს უამისოდაც გაღატაკებულს ცხოვრებას ვერაფერს უშველის. ფრიად საჭიროა სხვა წყარო ცხოვრებისა ვცადოთ.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. წილკანი,** (დუშეთის მაზრა). ვისაც დროებით მაინც მოჰხდენია სოფელში ყოფნა და ცოტა დაჰკვირვებია იქაურ ცხოვრებას, იგი ადვილად შეამჩნევდა, რომ გლეხის კვნესიდგან სამართლიანი საყვედური გამოისმის: უსწავლელობამ და სიბნელეში ყოფნამ ისე მოაძულეს სიცოცხლე, რომ ის თავისს თავს ადამიანებში აღარა სთვლის. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სამრევლო სკოლების მზრუნველთ მოწყალე თვალით გადმოჰხედეს დუშეთის მაზრის უკიდურესს მდგომარეობას და ხალხს უქადაგებენ სკოლების საჭიროებას. წილკნელებმა სიამოვნებით მოისმინეს ბაასი სკოლის შესახებ, მაგრამ ვერაფრად ეჭაშნიკათ სამრევლო სკოლის დაარსება სოფლის ხარჯით. ან-კი რა ჭკუაში მოსასვლელია ამისთანა სასწავლებელი, რომელიც თავის მარტივის მიმართულებით გლეხებს ცხოვრებას ვერ გაუადვილებს და თვით მასწავლებელნიც პედაგოგიურ საქმეს დაშორებულნი არიან. სამრევლო სკოლების მზრუნველთ მოვაგონებთ, რომ უცოდინარობით ბავშვების სწავლება მომაკვდინებელ ცოდოზედ უარესია. სამწუხაროდ, ზოგიერთ სასწავლებელში საქმეს განაგებენ სრულიად გამოუცდელნი კაცნი. ამას გარდა, გლეხებს ესაჭიროებათ ისეთი სასწავლებელი, როგორსაც მოითხოვს მათი პრაქტიკული ცხოვრება. სწავლა, როგორც ცხოვრების იარაღი, მაშინ არის გლეხისათვის სანუგეშო, როდესაც იგი საჭიროების გვარად სცვლის და კეთილდღეობის გზას უკვლევს ცხოვრებაში. ამ მხრივ სასოფლო სამინისტრო სასწავლებლები უფრო საიმედოა, რადგანაც გლეხის შვილი მეურნეობას სწავლობს და ცხოვრებაში ცოტა მაინც არის მომზადებული გამოდის.

წილკნელების დიდ ბოროტს შეადგენს აგრეთვე ზაფხულში უწყლობა. წარსულ ზაფხულს ნარეკვავმა ერთობ იკლო, დანარჩენი წყალიც ძალისხლებმა მიაბრუნეს და წილკნელები ხახა-მშრალნი დარჩნენ. მეტი ღონე არ იყო, გაჭირვებულმა წილკნელებმა ბაზალეთის ტბიდგან თავისუფლად მიმდინარე წყლები შეაერთეს და თავიანთ არხში გადმოურთეს. გაჭირვებულებს გზაში გადმოუდგნენ ტბის პატრონები და უსასყიდლოდ წყალი არ დაანებეს. თვით ჩვენი ცნობილი დ. კ—ი ტბის მონაწილეთაგანია და საკვირველი ეკონომიურის ნიჭის პატრონიცა ბრძანდება. ჯერ იყო და ტბის წურბელას იჯარა დაუწესეს (ორ წურბელის დაჭერაში ერთს კაპეიკს ახდევინებენ—ასი ათ შაურად რაღა!) ახლა თურმე გაჭირვეულდა, გლეხებს ტბაში ბანაობისათვის სულზედ სამი კაპეიკი გამოვართოთო. ამ აზრს ზოგიერთი მონაწილენი სიხარულით მიჰგებებოდნენ, მხოლოდ ბ-ნ ფავლენიშვილს უარი განეცხადებინა სათაკილო იჯარის დაწესებაზედ და

ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია. აბა რაღა თქმა უნდა, მონაწილენი ხმის უმეტესობით სამ კაპეიკიან იჯარას დაუწესებენ საბრალო გლეხებს ტბაში ბანაობისათვის. წილკნელებისათვისაც საზარალო იყო ტბის წყლით სარგებლობა: საწამლავივით მოედო გლეხებს და ბევრი მათგანი უდროო-უჟამოდ გამოასალმა სიცოცხლეს. ხალხი შეშინდა, სასოწარკვეთილებას მიეცა და მკითხავების რჩევით გაიმართა სხვა-და-სხვა სალოცავებში მიმოსვლი. ერთმა საბრალო დედამ მკითხავის სიტყვა ვერ შეასრულა: ავადმყოფი შვილი ვირით უნდა ჩაეყვანა წმ. ბარბარეში და ურმით წასვლა ამჯობინა. ტბის წყლით მოწამლული ავადმყოფი დღესაც არ მორჩენილა და ერთგული დედა აპირობს დიდყურათი მიაბრძანოს სალოცავის კარსა. არა ერთხელ თქმულა წილკნელების საყურადღებოდ სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნეობის მავნებლობა, მაგრამ ხალხის ჩვეულებაში დაბუდებულ ვარამს მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლა მოსპობს.

სოფ. ძალისი ყოველ ჯურის ბოროტ მოქმედების ბუდეა და საშინლათაც აანადგურა და წარყვნა ახლო მდებარე სოფლები.

თვით წილკანში ენით გამოუთქმელი სიღარიბე სტანჯავს მცხოვრებთ. მინდვრისა და ვენახების მოუსავლობამ სამჯერ ზედი ზედ უღალატა გლეხებსა და ქონებრივი ძალა გამოაცალა. ამას დაუმატეთ სოფლის მამასახლისის ბევრი გვარი უკუღმართობა და თვალ წინ წარმოგიდგებათ წილკნელების უბედურის ცხოვრების სურათი.

წილკნელი

# რუსეთი

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს თავისს უწყებას დაუქვემდებაროს ობოლთა თავშესაფარები და დაბალ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების წეს-რიგისამებრ მოაწყოს იგინი.

— სამთო ინჟინერთა საზოგადოებასთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც რკინეულობასა და თუჯეულობაზედ დადებულ გარ დასახადის შესახებ უნდა მოილაპარაკოს. კომისია მოილაპარაკებს აგრეთვე რუსეთის სამეტალლურგო მრეწველობის შესახებაც.

— უკვე მომართულ-მოწყობილ იქმნა საიურიდიო ფაკულტეტი ტომსკის უნივერსიტეტისა და ლექციების კითხვა მომავალ-სამოსწავლო წლიდგან დაიწყება.

— სახელმწიფო საბჭო ამ ახლო მომავალში განიხილავს წინადადებას სადგმურო გარდასახადის ქალაქების თვით-მმართველობის სასარგებლოდ გარდაცემის შესახებ.

— კომისია, რომელიც დაარსდა ბ ნის კოვალევსკის თავმჯდომარეობით პურით ვაჭრობის საქმის გაწესრიგების შესახებ, პირველ მაისიდგან დაიწყებს მუშაობას.

# უცხოეთი

**ისპანია და შეერთებული შტატები.** გაზეთების სიტყვით, თვით კუბაში ის სახელმწიფო გაიმარჯვებს, რომლის მხარესაც ადგილობრივი მეამბოხენი დაიჭერენ. ხოლო იმის შესახებ, მეამბოხენი ვის მიეკედლებიან და ვის წინააღმდეგ გაიღებენ ხელს — ჯერ-ჯერობით ნამდვილი არაფერი ისმის. მაშინ, როდესაც ისპანიიდგან მოსული ამბები იუწყებიან, რომ მეამბოხენი თანახმანი არიან ისპანიის ჯართან ერთად ამერიკელებს ებრძოლონო, ინგლისიდგან და ამერიკიდგან მოსული ამბები სულ წინააღმდეგს გაიძახიან. აი, მაგალითად, რას ატყობინებენ დეპეშით გაზეთ „Times“-ს: „ის ამბავი, რომ კუბელები ვითომ მზად არიან ისპანელებთან ერთად შეერთებულის შტატების წინააღმდეგ იბრძოლონ, უკუღმს სიმართლეს მოკლებულია. მოლაპარაკების დროს მეამბოხეთ ყველა პირობა უარ-ჰყვეს და პირ-და-პირ განაცხადეს: ჩვენ თქვენ (ისპანელებს) მხარს ვერ დაგიჭერთო. ტყუილია აგრეთვე ისპანიის ჯარის უფროსების მიერ გავრცელებული ამბავი, რომ მეამბოხეთა და ჯარის შორის შეტაკება მოისპოო. ჯერ ისევ გუშინ, 5 აპრილს, ისპანიის ჯარი პინარ-დელ-რიოს პროვინციაში მეამბოხეთ დაესხა თავს და თოფის სროლა დაუწყო“.

— როგორც ისპანიის სატახტო ქალაქ მადრიდიდგან მოსული ამბები იუწყებიან, სამხედრო მინისტრმა კორეომ განაცხადა, რომ ჯარი უკვე შეიარაღებულია და საზოგადოდ მომზადებულია საომრადაო. მინისტრის სიტყვით, კუბაში მარშალ ბლანკოს ეყოლება 100,000 ჯარის კაცი ამერიკელების წინააღმდეგ სამოქმედოთ, ხოლო 50,000 ათასი ჯარის კაცი მეამბოხეთა წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელნი ომის დროს ამერიკელებს მიემხრობიან და ისპანიას ბრძოლას დაუწყებენ. მინისტრისავე სიტყვით, პორტო-რიკოს გუბერნატორის განკარგულების ქვეშ 20,000 ჯარის კაცი იქმნება ამ კუნძულის დასაცველად.

— ისპანიას დიდი იმედი აქვს, რომ ომის დროს სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები მხარს დამიჭერენ და დახმარებას აღმომიჩენენო. სენატის კრების დროს, 9 აპრილს მარშალმა მარტინეც-კომპოსმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ამერიკაში ისპანიის შთამომავლობის 40 მილიონი კაცი სცხოვრობსო. ეს ამოდენა ხალხი გაჭირვების დროს არ მიგვატოვებს და მშურად ხელს გამოგვიწვდისო. მართლაც, როგორც გაზეთები იუწყებიან, სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლები დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ისპანიას. თითქმის ყველგან ფულსა ჰკრებამენ და ისპანიის მთავრობას უგზავნიან. მექსიკაში მყოფმა ისპანიის ახალშენმა, გაზ. „Deut. Zeit.“-ის სიტყვით, მიჰმართა ისპანიის მთავრობას და ჰკითხა, შეგვატყობინეთ, რითი შეგვიძლიან ომის დროს დახმარება აღმოგიჩინოთო. ამის პასუხად მადრიდიდგან მისწერეს: კარგს იზამთ ჰავანაში სურსათი გაგვიგზავნოთ ხოლმეო. ამ ამბის მიღებისთანავე ახალშენის წევრთ კრება მოახდინეს და ხელის მოწერა გამართეს ისპანიის სასარგებლოდ. ჯერ-ჯერობით მარტო მექსიკაში ნახევარი მილიონი პეზეტი (პეზეტი 23 კაპეიკია) შეჰკრიბეს. იმედი აქვთ, ამდენს სხვა ქალაქებიდგანაც მივიღებთო.

— თუმცა ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის ომი თითქმის დაწყების კიდეც და ამ დღეებში, როგორც დეპეშები იუწყებიან, ოფიციალურადაც გამოცხადებული იქმნება, მაგრამ ზოგს იმედი აქვს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ამ სახელმწიფოთა შერიგება და ომის თავიდგან აცილებაო. აი, მაგალითად, რას სწერს გაზ. „Figaro“-ს რომიდგან: „ერთის დიდის სახელმწიფოს წარმომადგენელმა ახალი საშუალება მოიგონა იმისა, თუ როგორ შეიძლება კუბის საქმის მოწყობა და ომის თავიდგან აცილება. ამ წარმომადგენლის აზრით, ისპანიამ კუბა უნდა აჩუქოს რომის პაპს, რომელიც შემდეგ, როდესაც ყველაფერი დაშოშმინდება, კუბას დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარებს. ამ რიგად არც ისპანიის თავ-მოყვარეობა შეილახება და ომიც აცილებული იქმნებაო“. რამდენად მართალია ეს ამბავი, ამბობს ამის შესახებ ერთი რუსული გაზეთი, ალლახმა უწყის, ხოლო ეს კია, რომ ომის თავიდგან აცილება მალიან ძნელი და თითქმის შეუძლებელი საქმეაო.

# დამაკვირდი

მეცნიერება ზოგს ღმერთად, ციურ სიხარულად მიაჩნია და ზოგს მწველელ ძროხად: კარაქს გამოჩნეს.

შილლერი

* * *

ყოველის ადამიანის თავი სტომაქს ემსახურება: ერთი თავი კარგად ინელებს საზრდოს, ხოლო მეორე მოიშლება ხოლმე და ვეღარა მოუნელებია-რა.

კუზმა პრუტკოვი

* * *

მძლო საწუთრომან და წაღმართ ქადებულნი ჟამნი მიმტყუნა.

წმ. დავით აღმაშენებელი

## რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობიან?

Водопадъ—შხივი. ეს სახელი იხმარება სვანეთსა და ლეჩხუმში და მკვიდრნი უწოდებენ იმ ადგილს, სადაც რამდენისამე საჟენის სიმაღლიდგან ხევის წყალი გადმოჰქუხს.

სვანეთსა და ლეჩხუმში ასეთი ადგილები მეტად ხშირია და სახელს „შხივი“-საც უეჭველად გაიგონებდა, ვისაც შეხვედრია ამ კუთხეებში, მგზავრობა. ვფიქრობ, წინად ხსენებულ სახელებზედ (ჩეჩხერი, შქერი, ჩხერი, ჩახრიალა, ჩაბარუხი, საჩქეფი და სხვ.) ეს სახელი უფრო სინამდვილით აღნიშნავს რუსულ სახელს „Водопадъ“-ს და ამის გეოგრაფიულ სიტყვად მიღება ქართულ ენას უფრო მეტს ლაზათსაც მისცემს.

პორფირე ფანჯაკიძე

ამას გარდა ბ-ნი ი. დანელია გვწერს, რომ ნამდვილი სახელი „водопадъ“-ისა ჩასაგრვიმი-ა, რადგან ასე უწოდებენ იმ „ვოდოპადს“, რომელიც მდ. აბაშაში ვარდება.

რედ.

## მცირე შენიშვნა

ჟურნალ-გაზეთების კითხვის სარგებლობა და მათი რიგიანად დაცვა და შენახვა მხოლოდ იმას შეუძლიან შეიგნოს, ვისაც კითხვის ხალისი და სიყვარული აქვს. ზოგიერთი ვაჟ-ბატონები ჟურნალ-გაზეთებში მხოლოდ ახალ ამბების განყოფილებას ეძებენ და რაკი ახალი ამბების წაკითხვით გულს დაიტკბობენ, სხვა წერილების წაკითხვას ჯავრი აღარ აცხელებთ. წერილების წაკითხვამ თქვენი ჭირი წაიღოს, თვით ჟურნალ-გაზეთების დაცვა-შენახვისათვისაც აღარ ჰზრუნავენ და მათი ხევა, დაკარგვა და ურიგოდ ხმარება გულს არ უკლავთ. ეს ჩემი მცირე შენიშვნა უმეტეს ნაწილად შეეხება იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ჟურნალ-გაზეთებს მუქთად, სხვისის წყალობით იღებენ. ესენი გახლავან სოფლის მღვდლები და მასწავლებლები. თითქმის ყველა სოფლის მღვდელს ეკკლესიის საშუალებით მოსდით: „საეკკლესიო უწყება“, „საქართველოს საეკსარხოსოს მოამბე“ და „მწყემსი“ რუსულის დამატებით. ყველა ეს გაზეთები ეკკლესიას წელიწადში უჯდება თორმეტი მანეთი და სარგებლობა-კი მათგან, ურიგოდ ხმარების გამო, მეტად მცირეა. ათი წელიწადი მეტია მას აქეთ, რაც ეს ჟურნალ-გაზეთები ეკკლესიებს მოსდით და დღეს ორ-სამს ეკკლესიას თუ ჰნახავს კაცი, რომ ხსენებული გაზეთების ძველი ნომრები აკინძული და დაწყობილი ჰქონდეს რიგ რიგად. ხშირად შეგხვდებათ, რომ გაზეთ „მწყემსის“ ფურცლებით მღვდლებს თავიანთი ოთახების ჭერი აქეთ გაკრული. ამისთანა მოძღვრები იმას-კი არა ჰფიქრობენ, რომ ეს იმათი საქციელი დაუდევრობაა. გაზ. „მწყემსის“ რედაქტორი საეჭვო კითხვების განმარტების დროს ხშირად ურჩევს ხოლმე, რომ „მწყემსის“ ძველი ნომრები წაიკითხეთ და იქ ნახავთ ამა-და-ამის პასუხსაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს ძველი ნომრები რომ აღარა აქვს ეკკლესიას კრებულის დაუდევრობის გამო, სადა გნებავთ ნახოთ? ან რაიმე მთავრობის განკარგულება გინდათ ნახოთ, ძველს ნომრებს ეძებთ, მაგრა ამაოა თქვენი შრომა, ვინაიდგან ეს ნომრები ან დიდი ხანია რაც დაკარგულია და ან დაფურცლული ჰყრია აქა-იქ. სწორეთ სამწუხაროა ეს მოვლენა. ნუ თუ სხვის ქონებას ასე უდიერად უნდა ეკიდებოდეს კაცი! კარგი იქმნება, რომ ამ გარებას მმ. ბლაღოჩინები ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდნენ და ეკკლესიების რევიზიის დროს დაათვალიერებდნენ ხოლმე ეკკლესიის წიგნთსაცავებსაც.

მ. ფარცნანელი

## გამოსადეგი ცნობა

სავარცხელის კბილებში ხშირად ჩაკგდება ხოლმე ჭუჭყი. თუ დიდხანს დარჩა ასე სავარცხელი, მერე ხმარების დროს კბილები ადვილად ემტვრევა, ამისათვის საჭიროა ხშირად გაიწმინდოს ხოლმე სავარცხელი კბილის საწმენდი პატარა ჩოთქით. ეს ჩოთქი ჯერ ამიაკში უნდა დაასველოთ (ნიშადურის სპირტში), მერე წყალში ცოტა სოდა გახსენით; ეს წყალი სავარცხელს გადაავლეთ და კარგად გაამშრალეთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 აპრილი

**სემიპალატინსკი.** წყალდიდობამ 500 ათასი ფუთი პური დაასველა, 5 ნავი და 2 გემი გამორიყა, სახლები და სხვა შენობები წაიღო. ზარალი დიდია.

**სენ-ვინსენტი.** ისპანიის ესკადრა აქედგან ჯერ არ წასულა.

**კოპენჰაგენი.** საბერძნეთის მეფის შვილი აქ მოვიდა. პრინცი ვალდემარი როზკილდში წავიდა იმის შესახვედრად. სადგურზედ მეფის შვილს დახვდნენ მეფე, დედოფალი და პრინც ვალდემრის მეუღლე.

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსულის წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში მივმართე კბილის ექიმს ბ-ნს ფრამს კბილების შუა ადგილების შესავსებლად და დასაპლომბავად. სამი კბილი გამიკეთა და თითოში გადამახდევინა ხუთ-ხუთი მანეთი. ერთის კბილიდგან ერთის კვირის შემდეგ ამოვარდა პლომბა, თუმცა სიტყვა მომცა, თუ მეტს არა, ხუთს წელიწადს მაინც ატარებთო. მე მაშინვე მივედი, პლომბა მივუტანე და მაგიერი გავაკეთებინე, რასაკვირველია, უსასყიდლოდ. ერთი კვირის შემდეგ სრულიად უმიზეზოდ, ენის მოსმით მეორე კბილსაც გამოესალმა პლომბა და მესამე-კი ისევ ისე მტკივა, როგორც ადრე. უეჭველია არც ის გაჩერდება დიდხანს! ვისაც გამოუცდია კბილის ტკივილი, ადვილად წარმოიდგენს, რა სახელიც ეწოდება ბ-ნის ფრამის საქციელს, მით უმეტეს, რომ ამდენი სასყიდელი გავიღე და ასე ფუჭად-კი ჩამიარა.

ან. პეტრიაშვილისა



# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| საალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| ხაქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |



Дозволено цензурою. Тифлисъ 17-го Апрѣля 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.